ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N170

2015 წლის 19 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების წლიური სარგებლობის ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 28,15 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი (ს/კ N20.42.04.385) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 2700 (ორი ათასშვიდასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის თემის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაზე მდებარე 21,29 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე საწყისი (ს/კ N20.46.03.032) წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს 1600 (ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N141-ში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 28,15 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის თემის ყოფილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაზე მდებარე 21,29 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე